



კრედიტორის წინაშე შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოების
ხელმძღვანელი ორგანოს პირადი
პასუხისმგებლობის სამართლებრივი
ფარგლები

სიმონ ტაკაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის ასოცირებული პროფესორი

 <https://orcid.org/0000-0001-8608-170X>

სალომე კობარიძე

სულხან-საბა ორბელიანის ასისტენტი, დოქტორანტი

 <https://orcid.org/0009-0000-1799-4126>

I. შესავალი

თანამედროვე საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობები ძალიან სწრაფად და მრავალფეროვნად ვითარდება, რასაც ამ სფეროში არსებული იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკაც მონიშნავს. სამეწარმეო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები მუდმივ განახლებასა და თანამედროვეობასთან მორგებას მოითხოვს. სწორედ აღნიშნულის შედეგია ის, რომ საქართველოში 2022 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი ამოქმედდა.

სტატიის მიზანია, გამოკვეთოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ორგანოს (პირ(ებ)ის) პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები და ფარგლები საზოგადოების კრედიტორების მიმართ. აღნიშნული თანამედროვე ქართული სინამ-

დვილისთვის, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკისთვის ერთ-ერთ აქტუალურ და პრობლემურ საკითხს განეკუთვნება. პრობლემურობას განაპირობებს ის, რომ ზოგადად კომპანიის წინაშე დირექტორის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი დირექტორის ფიდუციური მოვალეობების დარღვევიდან გამომდინარეობს, ხოლო დირექტორის მიმართ იმ მესამე პირების მოთხოვნა, რომელთაც ასევე ზიანი ადგებათ ხელმძღვანელი ორგანოს არამართლზომიერი საქმიანობით, შეიძლება ითქვას, მერყეობს საკორპორაციოსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ მოთხოვნებს შორის. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში განსასაზღვრია, მესამე პირმა დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა მოითხოვოს საკორპორაციო სამართლის პრინციპების გამოყენებით, თუ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, დირექტორის მესამე პირების წინაშე პირად პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკისა და ქართული იურიდიული ლიტერატურის სიმწირე აღნიშნული თემის აქტუალობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს. საინტერესოა კომპანიის გადახდისუუნარობის შემთხვევაში მესამე პირების მიმართ ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხიც, რომელიც ქართული კანონმდებლობით ზედაპირულადაა მოწესრიგებული და განმარტებას საჭიროებს.

ნაშრომში გაანალიზებულია უშუალოდ საკანონმდებლო მიდგომები და ქართული აკადემიური იურიდიული ლიტერატურა, რომელიც განსახილველ საკითხზე არსებობს, აგრეთვე წარმოდგენილია შედარებითსამართლებრივი კვლევა როგორც კონტინენტურეევროპული, ისე ანგლოამერიკული სამართლის პერსპექტივიდან. სტატიაში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასამართლო პრაქტიკის სწორი გზით განვითარებას.

II. ხელმძღვანელი ორგანოს დელიქტუარი

პასუხისმგებლობის წინაპირობები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოსთვის მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მნიშვნელოვანია დირექტორის პასუხისმგებლობის დაყოფა. ამ უკანასკნელს აქვს, ერთი მხრივ, შიდა ვალდებულება, აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზიანი, ხოლო, მეორე მხრივ, გარე პასუხისმგებლობა იმ მესამე პირების წინაშე, რომელთაც მისი ქმედებით მიაღდათ ზიანი.¹ დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლებშიც კრედიტორების წინაშე დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ ნორმად სასამართლომ მიუთითა გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. სასამართლოს შეფასებით, დირექტორი მესამე პირების წინაშე პასუხისმგებელია მის მიერ საზოგადოების მიმართ არსებული ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის გამო.² თუმცა ასეთი განმარტება ლიტერატურაში გაკრიტიკებულია და გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ვინაიდან დირექტორს ფიდუციური მოვალეობები აქვს საზოგადოების და არა მესამე პირების მიმართ, დირექტორის პასუხისმგებლობის განსაზღვრა კრედიტორების წინაშე მხოლოდ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით დოგმატურად მცდარია.³ შესაბამისად, გონივრულია, დირექტორის პირადი

¹ ცერცვაძე, 2015, 239.

² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება Nას-1307-1245-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება Nას-1158-1104-2014.

³ ბურდული, 2019, 56.

პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე დადგეს დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევაში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობისას.⁴ ნათელია, რომ პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ზიანის ანაზღაურების ყველა წინაპირობა უნდა არსებობდეს: მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი.⁵

ხელმძღვანელი პირისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც კომპანიის გადახდისუნარიობისას მესამე პირებს არ გააჩნიათ სხვა ბერკეტი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის. ასეთ დროს კრედიტორებს არ შეუძლიათ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება დირექტორის მიმართ ისე, როგორც ეს პარტნიორის შემთხვევაშია შესაძლებელი.⁶ ხელმძღვანელი ორგანო, თავისი არამართლზომიერი მოქმედებიდან გამომდინარე, კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს სხვა სამართლებრივი საფუძვლით, შესაბამისად, დირექტორების მიმართ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ტერმინოლოგიური გამოყენება არაგონივრულია.⁷

ხელმძღვანელი ორგანოს მიერ დელიქტით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ხელმძღვანელი პირი დელიქტის საფუძველზე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ქმედება ქმნის დელიქტის შემადგენლობას.⁸ დირექტორი პირადად პასუხისმგებელი არ

⁴ იხ. იქვე, 57.

⁵ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1074-2024; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება №ას-108-2023.

⁶ Davies, Worthington, Hare, Micheler, 2021, 206.

⁷ ბურდული და სხვ., 2022, 311.

⁸ ბურდული, 2019, 57.

არის დელიქტზე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პოზიცია უკავია. იგი არ არის კომპანიის ქმედებების გარანტორი. ასეთი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, თუკი დელიქტის განხორციელებაშია ჩართული ან სხვაგვარად არის დაკავშირებული ზიანის გამომწვევ ქმედებასთან.⁹ ანგლოამერიკულ სამართალში ასეთი მიდგომა ეფუძნება აგენტის თეორიას, რომელიც დირექტორს განიხილავს კომპანიის აგენტად და შესაბამისად, განსაზღვრავს მის პასუხისმგებლობას: იგი, როგორც აგენტი, პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ ყველა დელიქტურ ქმედებაზე.¹⁰

პირადად დირექტორისთვის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის წართმევა კრედიტორის მიმართ, შესაძლოა, უსამართლო შედეგები გამოიწვიოს, ვინაიდან ის აღმოჩნდება პირისპირ ისეთი იურიდიული პირის წინაშე, რომელსაც ქონება არ გააჩნია. სწორედ ამიტომ, გონივრულია, დელიქტის საფუძველზე შესაძლებელი იყოს იმ პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რომლის არამართლობიერი ქმედების შედეგადაც საზოგადოება ამ მდგომარეობამდე მივიდა.¹¹

აღსანიშნავია, რომ დირექტორის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მაშინ, როდესაც მისი ქმედებით ზიანი ადგება სხვა პირის ქონებას ან ჯანმრთელობას.¹² თუკი კომპანიის დირექტორი განზრახ აყენებს სხვას ზიანს, ცალსახაა მისი პასუხისმგებლობა, თუმცა გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, საინტერესოა, რა გარემოებების არსებობისას შეიძლება დადგეს ასეთი სამართლებრივი შედეგი. როგორც უკვე აღინიშნა, დირექტორები პასუხისმგებლები არიან მაშინ, თუკი პირდაპირ მონაწილეობენ ქმედებაში, მიუხე-

⁹ O'Byrne, Schipani, 2019, 87.

¹⁰ Bing, Shan, 2011, 10; იხ. ციტირება: Chris Noonan and Susan Watson (2004), Directors' Tortious Liability – Standard Chartered Bank and the Restoration of Sanity, Journal of Business Law, 5: 539-548, 542.

¹¹ ბურდული, 2019, 56-57.

¹² O'Byrne, Schipani, 2019, 88-89.

დავად იმისა, ექცევა თუ არა ასეთი ქმედება მის კორპორაციულ ვალდებულებებში.¹³ ლიუსის საქმეში კომპანიის დირექტორს პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრა, რადგან კანადის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დასაქმებულის გარდაცვალებაზე. სასამართლოს განმარტებით, დირექტორმა პირადად დაავალა ახალგაზრდას საშიში სამუშაოს შესრულება სათანადო უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ის მოქმედებდა მისი კორპორაციული მოვალეობების ფარგლებსა და კომპანიის ინტერესებში, სასამართლომ მას პირადი დელიქტური პასუხისმგებლობა მაინც დააკისრა გაუფრთხილებლობისთვის, რადგან პირდაპირ იყო ჩართული ზიანის გამომწვევ ქმედებაში.¹⁴

აღსანიშნავია, რომ ანგლოამერიკულ სამართალში დირექტორისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია კრედიტორებისთვის შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება. ამ დროს პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ათვლის წერტილია გარემოება, ჰქონდა თუ არა მესამე პირების მიმართ ხელმძღვანელ ორგანოს ზრუნვის მოვალეობა, კონკრეტულად, სასამართლოები ადგენენ უშუალო კავშირის ხარისხს მხარეებს შორის და ზიანის მიყენების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას.¹⁵ უშუალო კავშირის შესაფასებლად სასამართლოები ითვალისწინებენ არაერთ ფაქტორს, მათ შორის, მოლოდინებს, ნდობას, აგრეთვე ფინანსურ დაინტერესებას.¹⁶ იმისთვის, რომ დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს,

¹³ იქვე, 97; იხ. ციტირება: *Yavar v. Roffman*, No. CV S14L-12-035 MJB, 2015 WL 5167930, at 6.

¹⁴ *Marin*, 2019, 337; იხ. ციტირება: *Lewis v Boutilier*, 52 DLR 383, [1919] SCJ no 83 [Lewis cited to DLR], at para 60.

¹⁵ იქვე, 361; იხ. ციტირება: *Childs v Desormeaux*, 2006 SCC 18 at para 12.

¹⁶ იქვე, 361.

კრედიტორმა უნდა დაადასტუროს, რომ დირექტორმა მას მიაწოდა შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია და ეს მოხდა კრედიტორთან უშუალო ურთიერთობის ფარგლებში. თუ მხარეები ერთმანეთს არ იცნობენ და არასდროს ჰქონიათ კომუნიკაცია სადავო გარიგების თაობაზე, ეს ვერ გახდება პასუხისმგებლობის საფუძველი.¹⁷ მაგალითად, „Anger Berkshire Investment Group Inc“-ის წინააღმდეგ საქმეში, მოსარჩელებმა დაკარგეს ფული მას შემდეგ, რაც განახორციელეს ინვესტიცია კომპანიის გაყიდვების თანამშრომლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამ ადამიანებისა, მოსარჩელებმა პასუხისმგებლობის დაკისრება კომპანიის დირექტორებისთვისაც მოითხოვეს, რადგან სწორედ ისინი უწევდნენ ზედამხედველობას ამ დასაქმებულებს. კანადის სააპელაციო სასამართლომ დირექტორების პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, რადგან ისინი მონაწილეობდნენ მოსარჩელებისთვის შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების პროცესში.¹⁸

დირექტორის პირად პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებებში განვითარებული მსჯელობა, რომლის საფუძველზეც კომპანიის დირექტორს პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრა. მოცემულ ორ საქმეზე დირექტორი და პარტნიორი ერთი და იგივე პირი იყო. განაჩენებით დადგინდა მისი მხრიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტი, რის შედეგადაც სახელმწიფოს მიაღდა ზიანი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ გადანყვეტილებაში სასამართლომ განმარტა დირექტორისა და პარტნიორის ფუნქციური გამიჯვნის აუცილებლობა მათთვის პასუხისმგებლობის

¹⁷ იქვე, 364-365.

¹⁸ იქვე, 345; იხ. ციტირება: Anger v Berkshire Investment Group Inc (2001), 141 OAC 301, 102 ACWS (3d) 1067 [Anger cited to OAC], para. 11.

დაკისრების მიზნით.¹⁹ მიხედვად ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებით აღნიშნული მიდგომა შეიცვალა, კერძოდ, როდესაც დირექტორი და პარტნიორი ერთი და იგივე პირია, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ხელმძღვანელი პირი ფლობს იმ სახის ინფორმაციას და სამართლებრივ ბერკეტებს, რაც საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს და პირადი ინტერესებით მოქმედების ნიადაგს ქმნის. სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერად მოქმედების ტესტი, რომელიც მიემართება საწარმოს დირექტორს, ვერ იქნება გამიჯნული იმ შეთხვევაში, როდესაც პარტნიორი და დირექტორი ერთი და იგივე პირია.²⁰ აღნიშნული განმარტების მიუხედავად, მიზანშეწონილია, ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ არაგონივრულია საზოგადოებაში დირექტორისა და პარტნიორის სხვადასხვა პოზიციიდან გამომდინარე ხელმძღვანელ პირს შეერაცხოს ის ქმედებები, რასაც პირი, როგორც პარტნიორი, განახორციელებს და პირიქით. ვინაიდან საკორპორაციო სამართალი დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის განსხვავებულ საფუძვლებსა და წინაპირობებს ადგენს, გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფამ, შეიძლება, სრულად ამოაყიროს საკორპორაციო სამართლებრივი პრინციპები. არგამიჯვნის ვალდებულება ცვლის როგორც მტკიცების პროცესს, ისე გავლენას საბოლოო სამართლებრივ შედეგზე. სასამართლოს ასეთი განმარტება ქმნის ნიადაგს, მხარისთვის გართულდეს სამართლებრივი შედეგის განჭვრეტადობა.

¹⁹ იხ., უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება №ას-1307-1245-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება №ას- 1158-1104-2014.

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება №ას-306-2023.

III. პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების კონკრეტული შემთხვევები

1. გადახდისუუნარობის საქმის გაჭიანურება, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლი ითვალისწინებს დირექტორის ზრუნვის მოვალეობას განსაკუთრებულ ვითარებაში, რაც მოიცავს ხელმძღვანელი პირის ვალდებულებას, გადახდისუუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს 3 კვირისა განაცხადოს ამ ფაქტის შესახებ. ამასთან, ქართული კანონმდებლობა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის სახით ითვალისწინებს დირექტორის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარუდგენლობისთვის.²¹ აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამართალში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენის ვალდებულება დარღვევა, როგორც დანაშაული, დელიქტური სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველიცაა: დირექტორები პასუხს აგებენ მესამე პირების წინაშე ამ მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში.²²

ზოგადად გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენა მოვალის უფლებაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში – ვალდებულებაც. სავარაუდო გადახდისუუნარობა მოვალეს არ აკისრებს ამ ვალდებულებას, განსხვავებით გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომის შემთხვევისგან, როდესაც ასეთი განცხადების წარუდგენლობა დირექტორის პასუხისმგებლობას იწვევს.²³ შესაბამისად,

²¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.

²² Jungmann, Santoro, 2020, 30.

²³ მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, 2021, 29.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზრუნვის მოვალეობის დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როდესაც გადახდისუუნარობის ფაქტი დადგება. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებით, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს, რა მიიჩნევა გადახდისუუნარობის დადგომის მომენტად – როდესაც შესაბამისმა პირებმა იცოდნენ ან მათ უნდა სცოდნოდათ, რომ მოვალე გადახდისუუნაროა.²⁴ ამავე კანონის თანახმად, მოვალე გადახდისუუნაროა, თუ ვერ ფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს.²⁵

აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომის გააზრება შეფასებითია, რადგან ზოგჯერ დირექტორი კეთილსინდისიერების ფარგლებში მიიჩნევს, რომ კომპანიას აქვს შესაძლებლობა, გადალახოს ფინანსური სირთულეები. შესაბამისად, ამოსავალი წერტილი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს კეთილსინდისიერებაა, თუ ეს უკანასკნელი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მიმართვას არაკეთილსინდისიერად აყოვნებს, აღნიშნული საფუძველით მისი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს.²⁶ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დირექტორის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველი არ არის კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება. შესაძლოა, დირექტორის ქმედება კომპანიის ინტერესებს ეხმიანებოდეს, თუმცა ეს მას არ ათავისუფლებს მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებიდან.²⁷ ფართოდ გავრცელებული აგენტის პრინციპიდან გამომდინარე, დირექტორ-

²⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁵ იქვე, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁶ მესხიშვილი, ბათიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე, 2021, 29.

²⁷ O'Byrne, Philip, Fraser, 2017, 873; იხ. ციტირება: ADGA, supra note 4 at 107.

რები პირადად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ მიყენებულ ზიანზე, მაშინაც კი, თუ ასეთი ქმედება განხორციელდა კომპანიის წარმომადგენლობის ფარგლებში და თუკი დირექტორი მოქმედებს უფრო კომპანიის სასარგებლოდ, ვიდრე პირადი სარგებლისთვის. დელავერის უმაღლესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კომპანიის დირექტორები ვერ გათავისუფლდებიან დელიქტით დაკისრებული ვალდებულებისგან მაშინაც კი, თუკი მისი ქმედებები კომპანიის სახელით განხორციელდა.²⁸

აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის საქმის დაწყების გაჭიანურების შემთხვევაში, დირექტორის დელიქტური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მთავარი წინაპირობის, ზიანის,²⁹ ოდენობის დადგენა არც თუ ისე მარტივია. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გადახდისუუნარობის გაჭიანურების შემთხვევაში გერმანული სასამართლო პრაქტიკა ორი სახის კრედიტორებს გამოყოფს და ამ უკანასკნელთა მოთხოვნებს განსხვავებულად განიხილავს.³⁰ ერთი მხრივ, არიან ის კრედიტორები, რომლებიც უკვე იყვნენ კომპანიის კრედიტორები იმ დროს, როდესაც საზოგადოება გახდა გადახდისუუნარო (ე.წ. „ძველი კრედიტორები“), მეორე მხრივ, კრედიტორები, რომლებიც კრედიტორთა რიგში აღმოჩნდნენ იქიდან გამომდინარე, რომ გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა გაჭიანურდა (ე.წ. „ახალი კრედიტორები“). ახალი კრედიტორები საერთოდ არ შევიდოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში კომპანიასთან, თუ გადახდისუუნარობის საქმის დაწყებას დროულად მოითხოვდნენ. ძველი კრედიტორების შემთხვევაში ზიანის ოდენობა გამოითვლება

²⁸ O'Byrne, Schipani, 2019, 90; იხ. ციტირება: Brandt, 2004 WL 2050519, at *9 (quoting Heronemus, 1997 WL 524127, at *2).

²⁹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2001, 382.

³⁰ Jungmann, Santoro, 2020, 32. იხ. ციტირება: Federal Court of Justice (Bundesgerichtshof), Judgment of March 30, 1998, Case II ZR 146/98 (published in BGHZ 138, 211 [Vol. 138, page 211 et seq. of the Official Collection of Decisions in Civil Matters]).

შემდეგნაირად: სხვაობა გადახდისუუნარობის დროს შესაძლო მისაღებ ანაზღაურებასა და იმ ანაზღაურებას შორის, რომელსაც კრედიტორი მიიღებდა, თუ გადახდისუუნარობის პროცედურა დროულად დაიწყებოდა. რაც შეეხება ახალ კრედიტორებს, მათ შეუძლიათ სრულად მოითხოვონ ის ზიანი, რომელიც მათ განიცადეს უკვე გადახდისუუნარო კომპანიასთან გარიგებაში შესვლის გამო.³¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის საქმის დაწყების გაჭიანურება შესაბამისი წინაპირობების არსებობისას შესაძლოა გახდეს კრედიტორების მიერ დირექტორისთვის პირადი დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, თუკი დადგინდება, რომ დირექტორმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომის შესახებ და ეს ინფორმაცია არ მიწოდა კრედიტორებს ან არ დაიწყო გადახდისუუნარობის საქმისწარმოება.

2. გადახდისუუნარობის გადრმაჰება

ხელმძღვანელი ორგანოს პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე შეიძლება დადგეს მაშინაც კი, თუკი დირექტორი კრედიტორებთან მოლაპარაკებებისას განზრახ დამალავს კომპანიის მძიმე ფინანსურ სიტუაციას და დაარწმუნებს მესამე პირს, რომ საზოგადოებასთან შევიდეს გარიგებაში.³² გერმანულ სამართალში დირექტორები არიან პასუხისმგებლები იმ კრედიტორების წინაშე, რომელთანაც სამართლებრივი ურთიერთობა დამყარდა გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისია მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომლებიც დირექტორმა კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით დადო ან როდესაც მან არ იცოდა ან არ უნდა სცოდნოდა კომპანიის გა-

³¹ იქვე, 32-33.

³² Wirth, Arnold, Morshäuser, Greene, 2024, 46.

დახდისუუნარობის შესახებ.³³ შესაბამისად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების ვალდებულების გარდა, დირექტორები პასუხისმგებლები არიან, კრედიტორების დაცვის მიზნით, თავი შეიკავონ ბიზნესურთიერთობების გაგრძელებისგან. ამ ვალდებულების დარღვევა დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველია და ანგლოამერიკულ სამართალში არამართლზომიერ ვაჭრობად მოიხსენიება.³⁴ არამართლზომიერი ვაჭრობა განიმარტება, როგორც დირექტორის უუნარობა კრედიტორების ფინანსური დანაკარგების მინიმალიზაცია განახორციელოს მაშინ, როდესაც კომპანია გადახდისუუნარობის წინაშეა.³⁵ საზოგადოება არამართლზომიერად ვაჭრობს, თუკი გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომისას იღებს ვალებს და სხვა სახის პასუხისმგებლობებს ან თუ მის მიერ შესაბამისი პასუხისმგებლობების აღებით დგება გადახდისუუნარობა, იმ გონივრული მოლოდინის არსებობის გარეშე, რომ კომპანია ამ ვალების დაფარვას შეძლებს.³⁶

არამართლზომიერი ვაჭრობის შემთხვევაში, დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს კომპანიის გადახდისუუნარობა, ხოლო შემდეგ – დირექტორის ცოდნის ელემენტი, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა გადახდისუუნარობის ფაქტის შესახებ და არ არსებობდა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ კომპანია გადახდისუუნარობას აირიდებდა თავიდან. შესაბამისად, დირექტორი ყოველთვის არ არის პასუხისმგებელი არამართლზომიერი ვაჭრობისას. იგი შეიძლება ოპტიმისტურად ვარაუდობდეს, რომ აარიდებს თავს გადახდისუუნარობას, თუკი აქვს მოლოდინი, რომ ვალების დიდი ნაწილი შესაძლოა მალე ხანდაზმული გახდეს ან/

³³ Jungmann, Santoro, 2020, 30-31.

³⁴ იქვე, 30.

³⁵ Keay, 2014, 63.

³⁶ Virginijus, 2022, 465.

და კომპანია დებს ახალ გარიგებებს, რამაც საზოგადოებას შეიძლება სარგებელი მოუტანოს.³⁷

შესაძლოა გადახდისუუნარობის გაღრმავების შემთხვევად ჩაითვალოს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული სამენარმეო საზოგადოების ვალდებულება, არ გასცეს დივიდენდი, თუ ეს სამენარმეო საზოგადოების გადახდისუუნარობას გამოიწვევს, ანუ დივიდენდის გაცემამ არ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საწარმოს ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას. ეს აკრძალვა ვრცელდება არა მხოლოდ გადახდისუუნარობის გამოწვევის, არამედ მისი გაღრმავების შემთხვევებზეც.³⁸ ყურადსაღებია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ემყარება დირექტორის მიერ წარდგენილ ინფორმაციას – ფინანსურ ანგარიშგებასა და განცხადებას, რომ ასეთი განაწილება არ გამოიწვევს კომპანიის გადახდისუუნარობას.³⁹ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი დირექტორი, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ხელს შეუწყობს დივიდენდის განაწილებას, როდესაც შესაძლოა ამის შედეგად კომპანია გახდეს ვალაუვალი, მისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება, მესამე პირების წინაშე საქართველოს საოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, გონივრულია.

IV. დირექტორის სუბსიდიური თუ სოლიდარული პასუხისმგებლობა

იურიდიულ ლიტერატურაში განვითარებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, დირექტორისთვის პირადი პასუხისმგებლობის

³⁷ Keay, 2014, 66.

³⁸ გიგუაშვილი, ჯუღელი, 2022, 69.

³⁹ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 145-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დაკისრებისას კრედიტორს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი კომპანიას როგორც პირველად მოვალეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ კრედიტორის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში – აღძრას სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ.⁴⁰ ამ კუთხით ყურადსაღებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც იგი მსჯელობს დირექტორის პირად პასუხისმგებლობაზე და მიუთითებს, რომ ეს პასუხისმგებლობა სუბსიდიური ხასიათისაა. პასუხისმგებლობის სუბსიდიურობა გამოიხატება კრედიტორის მიერ დირექტორისთვის მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობაში მხოლოდ მაშინ, თუ საზოგადოებას არ შეუძლია მისი დაკმაყოფილება. აღნიშნულ მსჯელობას სასამართლო აფუძნებს გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტს, რომლის თანახმად, ბათილია საწარმოს უარი დირექტორისაგან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე, თუ ასეთი ანაზღაურება საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია.⁴¹ დღეს მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი მსგავს დანაწესს არ ითვალისწინებს, შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველი, რასაც სასამართლო დაეყრდნო დირექტორის სუბსიდიური პასუხისმგებლობის განმარტებისთვის აღარ არსებობს. უფრო მეტიც, ახალი კანონი გარკვეულ შემთხვევაში დირექტორის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლებს ადგენს, რაც პასუხისმგებლობის რისკების შემცირების მექანიზმია.⁴² პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესაძლებლობა გამომდინარეობს „მენარმეთა შესახებ“ საქართვე-

⁴⁰ ცერცვაძე, 2015, 239.

⁴¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება N ას-1307-1245-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება N ას- 1158-1104-2014.

⁴² ბურდული და სხვ., 2022, 186.

ლოს კანონის 50-ე მუხლის მეორე პუნქტიდან, რის საფუძველზეც დირექტორის მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევისას განზრახ მიყენებული ზიანისგან გათავისუფლება დაუშვებელია, რაც იმთავითვე ნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობით დამდგარი პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობას კანონმდებელი უშვებს. შესაბამისად, ხელმძღვანელი პირი წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გათავისუფლდეს გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისგან.⁴³ საერთო კრების მიერ დირექტორის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს ითვალისწინებს 55-ე მუხლის მეორე პუნქტი.⁴⁴ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ბათილად მიიჩნევს საერთო კრების ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის იმ ნორმებს, რომელთა უმთავრესი მიზანია კრედიტორთა უფლებების დაცვა. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია, რომ საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება დირექტორისთვის გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან განთავისუფლების თაობაზე ბათილი იყოს, თუკი ამ გადაწყვეტილებით კრედიტორთა უფლებების დაცვის შესახებ შესაბამისი ნორმების უგულებელყოფა მოხდება. ზემოაღნიშნული ნორმების სისტემური განმარტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ შემთხვევებში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა დირექტორის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს, თუმცა ასეთი გათავისუფლება არ უნდა იწვევდეს კრედიტორთა უფლებების დაცვის მიზნის მქონე ნორმების დარღვევას. შესაბამისად, განხილულ გადაწყვეტილებაში პასუხისმგებლობის სუბსიდიურულობასთან დაკავშირებით სასამა-

⁴³ გიგუაშვილი, ჯუღელი, 2022, 101.

⁴⁴ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მეორე პუნქტი.

რთლოსეული განმარტების რელევანტურობა, რაც ეყრდნობოდა სწორედ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის ბათილობას, ახალი კანონის მოქმედების პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს, ვინაიდან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის ფარგლებში, დირექტორის სუბსიდიური პასუხისმგებლობა პირდაპირ და მკაფიოდ არ გამომდინარეობს. შესაბამისად, დირექტორის სუბსიდიური პასუხისმგებლობის საკითხი „მენარმეთა შესახებ“ ახალი კანონის ფარგლებში ბუნდოვანია და დამოკიდებულია სასამართლოს მიხედულობაზე, თუ რამდენად მიიჩნევს რეგრესულ ანაზღაურებაზე უარს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კრედიტორის დამცავი რომელიმე ნორმის უგულებელყოფად.

თუკი სუბსიდიური პასუხისმგებლობა გამოირიცხება, მესამე პირს შეეძლება პირდაპირ მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება საზოგადოებას. თუმცა პრაქტიკაში, პროცესის გაჭიანურებისგან თავის არიდების მიზნით, მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს დირექტორისთვის კომპანიასთან ერთად სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 456-ე მუხლიდან გამომდინარე, სოლიდარული ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. ამავე კოდექსის 998-ე მუხლი, რომელიც დელიქტური პასუხისმგებლობის სპეციალური ნორმაა, ითვალისწინებს სოლიდარულ ვალდებულებას, ზიანისათვის პასუხი აგოს არა მხოლოდ იმ პირმა, ვინც ზიანს აყენებს სხვას, არამედ იმანაც, ვინც ხელს შეუწყობს ზიანის მიმყენებელს ან სარგებლობს სხვისთვის მიყენებული ზიანით.⁴⁵ შესაბამისად, ზიანი შეიძლება იყოს რამდენიმე პირის ქმედების შედეგი.⁴⁶ აქედან გამომდინარე,

⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁴⁶ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2001, 382.

დირექტორისთვის კომპანიასთან ერთად სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრება დელიქტური სამართლის საფუძველზე შესაძლებელია. რა თქმა უნდა, ასეთი სოლიდარული პასუხისმგებლობის წარმოშობისთვის აუცილებელია კომპანია მესამე პირს აყენებდეს ზიანს და ამ ზიანის მიყენებაში თანამონაწილე, ხელის შემწყობი სწორედ ხელმძღვანელი ორგანო იყოს.

V. დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დირექტორების პირადი პასუხისმგებლობის საკითხი კრედიტორების წინაშე ძალიან აქტუალურია ახალი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მწირი სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის არსებობის პირობებში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დირექტორის პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე, არ გამომდინარეობს მხოლოდ მისი, როგორც ხელმძღვანელი პირის, სტატუსიდან. კრედიტორების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის დადგომისთვის აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით განსაზღვრული გენერალური დელიქტის შემადგენლობა და ყველა წინაპირობა (ზიანი, მართლწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი, ბრალი) არსებობდეს. ეს წინაპირობები არსებობს, როდესაც დირექტორი, თავისი პოზიციიდან გამომდინარე, განხორციელებული ქმედებით ზიანს აყენებს სხვის ქონებას ან ჯანმრთელობას. ამასთან, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების კონკრეტულ შემთხვევებად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს დირექტორის მიერ გადახდისუუნარობის გაჭიანურების ვალდებულების დარღვევა, აგრეთვე გადახდისუუნარობის გაღრმავება, რა დროსაც ზიანი ადგებათ კრედიტორებს. ამ შემთხვევებში

დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები და ფარგლები საკმაოდ სპეციფიკურია.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლებში ბუნდოვანია დირექტორის პასუხისმგებლობის ხასიათი – სუბსიდიურია თუ სოლიდარული. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ახლადამოქმედებული კანონის პრაქტიკაში სწორად განმარტებისა და გამოყენებისთვის. ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ამ საკითხებზე მსჯელობა. სამომავლოდ სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს რა მიმართულებით დაინერგება ეს საკითხის პრაქტიკაში.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მალრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2022
- ბურდული ი., ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ჟურნ. „ჩემი ადვოკატი“, N2, 2019
- გიგუაშვილი გ., ჯუღელი გ., განმარტებები საქართველოს კანონზე „მენარმეთა შესახებ“ (2022 წლის თებერვლის მდგომარეობით), თბილისი, 2022
- მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუნარიობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბილისი, 2021.
- სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, წიგნი 4, ტომი II, თბილისი, 2001
- ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2015
- Bing C., Shan L., Directors' Tortious Liability: A Study of Case in Hong Kong and England Greener Journal of Business and Management Studies, Vol. 1, No 1, 2011

- Davies P.L., Worthington S., Hare C., Micheler E., Principles of Modern Company Law, Thomson Reuters, 2021
- Jungmann C., Santoro D., German GmbH Law: A Guide to the German Company with Limited Liability, München, 2020
- Keay A., Wrongful Trading: Problems and Proposals, Jour. Northern Ireland Legal Quarterly, Vol. 65, No. 1, 2014
- Marin M., Third-Party Liability of Directors and Officers: Reconciling Corporate Personality and Personal Responsibility in Tort, Dalhousie Law Journal, Vol. 42, No. 2, 2019
- O'Byrne S., Philip Y., Fraser K., The Tortious Liability of Directors and Officers to Third Parties in Common Law Canada, Alberta Law Review, Vol. 54, No. 4, 2017
- O'Byrne S.K., Schipani C.A., Personal Liability of Directors and Officers in Tort: Searching for Coherence and Accountability, Pennsylvania Journal of Business Law, Vol. 22, No.1, 2019
- Virginijus B., Civil Liability of a Company Director in the Vicinity of Insolvency: The Lithuanian Approach, European Business Organization Law Review, Vol. 23, No. 2, 2022
- Wirth G., Arnold M., Morshäuser R., Greene M., Corporate Law in Germany, Verlag C.H Berck oHG, 2024

THE LEGAL SCOPES OF PERSONAL LIABILITY OF THE MANAGEMENT BODY OF A LIMITED LIABILITY COMPANY TOWARDS CREDITORS

SIMON TAKASHVILI

Associate Professor of Sulkhan-Saba Orbeliani University

 <https://orcid.org/0000-0001-8608-170X>

SALOME KOBERIDZE

Assistant, Ph.D. Candidate at Sulkhan-Saba Orbeliani University

 <https://orcid.org/0009-0000-1799-4126>

Abstract

The issue of a director's personal liability towards creditors remains a significant challenge for both Georgian judicial practice and legal scholarship. This paper examines the liability of directors of limited liability companies in relation to third-party claims under Georgian legislation. With the entry into force of the new Law of Georgia "On Entrepreneurs" in 2022, the question of directors' personal liability has become even more topical.

The paper focuses on the director's external liability towards third parties, namely creditors. It identifies the legal basis for imposing such personal liability, in particular the general tort provision set out in Article 992 of the Civil Code of Georgia, and analyzes the prerequisites for establishing tortious liability.

Given the absence of established case-law following the adoption of the new Law of Georgia “On Entrepreneurs,” the recommendations offered in this paper are intended to contribute to the proper development of judicial practice. For this purpose, the paper conducts a comparative legal analysis of both continental European and Anglo-American approaches and evaluates the contemporary relevance of Georgian judicial practice developed prior to the new law.

Keywords: Director; Creditor; Personal Liability, Tort.